Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 აგვისტოს №197 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში. ცვლილების თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვისას, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვის შესახებ;

ბ) გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია დღგ-ის თანხა;

გ) საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა ბიუჯეტში გადახდილია სრულად ან არასრულად გადახდის შემთხვევაში – საგადახდო დავალებაში მითითებულია დღგ საქონლის იმპორტთან დაკავშირებით.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

იზოლაციისა და კარანტინის წესებში განხორციელებული ცვლილებები

ქვეყანაში დამძიმებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, აგვისტოს თვეში იზოლაციისა და კარანტინის წესებში შეტანილ იქნა რამდენიმე ცვლილება, რომლითაც დგინდება პერიოდული შეზღუდვები საზოგადოებრივი ცხორების თუ ეკონომიკური საქმიანობების გარკვეულ სფეროებზე.

2021 წლის 11 აგვისტოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322-ე დადგენილებში განხორციელებული ცვლილებით ახლებურად დარეგულირდა თავშეყრისას, მათ შორის მასობრივი გასართობი ღონისძიებებისას დადგენილი რეკომენდაციების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, შესაბამისი რეკომენდაციების კრიტიკული შეუსაბამობისას შრომის ინსპექციის სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, უფლებამოსილია, დროებით შეზღუდოს ობიექტზე არსებული სივრცის ან/და ნივთის (მათ შორის, ობიექტის ან მასზე არსებული კონკრეტული ადგილის, აპარატურის ან/და სხვა ნივთის გამოყენება, რომლებიც უშუალო კავშირშია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიების განხორციელებასთან) გამოყენება, ხოლო განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში, შეზღუდოს ობიექტზე არსებული სივრცის/ნივთის გამოყენება და გადასცეს საქმე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სისხლის სამართლის საქმისწარმოების დაწყების მიზნით.

2021 წლის 13 აგვისტოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322-ე დადგენილებში განხორციელებული ცვლილებით 2021 წლის 14 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში ჩერდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანა (გარდა რუსთავი-თბილისისა), ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით სამგზავრო გადაყვანა.

2021 წლის 14 აგვისტოდან აიკრძალა ნებისმიერი ტიპის სპორტული (გარდა საერთაშორისო მატჩებისა), გასართობი, სახელოვნებო, საფესტივალო და კულტურული (გარდა სათეატრო და კინემატოგრაფიული ხასიათის) ღონისძიების ჩატარება, ასევე ბავშვთა გასართობი ცენტრების საქმიანობა.

2021 წლის 14 აგვისტოდან დასაშვებია რესტორნების/ბარების/კაფეების, სპორტული დარბაზებისა და საცურაო აუზების ფუნქციონირება სასტუმროებსა და განთავსების მსგავს საშუალებებში მხოლოდ სასტუმროსა და განთავსების მსგავსი საშუალებების სტუმრებისთვის მომსახურების გაწევის მიზნით 05:00 საათიდან 23:00 საათამდე, ხოლო 23:00 საათიდან 05:00 საათამდე დასაშვებია მხოლოდ ნომერში მომსახურების სერვისი.

2021 წლის 14 აგვისტოდან კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში სტუმრის მიღების მიზნით 05:00 საათიდან 23:00 საათამდე, ხოლო მიტანის მომსახურებითა (ე. წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე. წ. „თეიქ ევეი“ და „დრაივი“) საათობრივი შეზღუდვის გარეშე. ამასთანავე სტუმრის მიღებისას დაცული უნდა იქნეს რეკომენდაციები.

2021 წლის 13 აგვისტოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322-ე დადგენილებში განხორციელებული ცვლილებით, 25 აგვისტოდან საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარება დასაშვები გახდა მხოლოდ მაყურებლის გარეშე. ამავე თარიღიდან სასტუმროებსა და განთავსების მსგავს საშუალებებში რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება მომსახურების გაწევის მიზნით დასაშვები გახდა 22:00 საათამდე, ნაცვლად 23:00 საათისა. იგივე შეეხო კვების ობიექტებს (რესტორნებს/ ბარებს/კაფეებს).

2021 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322-ე დადგენილებში განხორციელებული ცვლილებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა გახანგრძლივდა 2021 წლის 13 სექტემბრამდე.

ასევე 2021 წლის 31 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებით, 2021 წლის 4 ოქტომბრამდე გადაიდო სააღმზრდელო/სასწავლო პროცესის დაწყება ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების ან/და სასკოლო მზაობის პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში. ამავდროულად საგანმანათლებლო პროცესის დაწყება მითითებულ თარიღამდე დასაშვებია დისტანციურ რეჟიმში.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.